ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**g-41. 4124150001**
თარიღი:**29/05/2024**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის,,ბ“ პუნქტის ,,ბ.ი.“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების მე-10 მუხლის, მე-3 ნაწილის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე - საბა ოდიშარია

2. სენაკის მუნიციპალიტეტის 2024 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბადრი კალანდარიშვილი

3. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 მარტის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

4. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი

5. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ი. ქარდავა

6. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი“-ს მიერ 2023 წელს სასაფლაოების მოვლა-პატრონობის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

7. სენაკის მუნიციაპლიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის, მიერ სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (სოფლის მეურნეობის კუთხით) მცენარეთა და ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების

მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

8. სენაკის მუნიციპალიტეტის ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გ. წურწუმია“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შოთა რუსთაველის ქ. №247).

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი